ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N 4

03 თებერვალი 2025 წელი

დ.ხარაგაული 56-00
9 აპრილის ქუჩა #15

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ „ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს :

მუხლი 1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის N 3 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 08/01/2015 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.128.016204) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“

3. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად. (თან ერთვის)

1. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

#	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)	კოეფიციენტი
1	საკრებულოს თავმჯდომარე	5986	4,1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4526	3,1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3942	2,7
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	3212	2,2
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2920	2
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2336	1,6
7	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი	2920	2

8	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1752	1,2
9	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1606	1,1

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი



დავით კიკნაძე